



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### იორი



იორი

იორი, მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, თიანეთის, საგარეჯოს, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში. სათავეს იღებს კახეთის ქედის ჩრდ-ით, მწვ. დიდ ბორბალოსთან, ზ. დ. 2800 მ-ზე. აზერბაიჯანის გავლით ერთვის მინგეჩევირის წყალსაცავს.

სიგრძე 320 კმ, აუზის ფართ. 4650 კმ<sup>2</sup>. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. მიწისქვეშა წყალზე მოდის ჩამონადენის 38,7%, წვიმაზე – 33,3%, თოვლზე – 28,0%. წყალდიდობა იცის მარტ-ივლისში, წყალმოვარდნები – ბაფხულ-შემოდგომაზე, მდგრადი წყალმცირობა – ზამთარში. გაზაფხულზე მოდის წლ. ჩამონადენის 43%, ბაფხულში – 30%, შემოდგომაზე – 16%, ზამთარში – 11%. წლ. ჩამონადენია თბილისის წყალსაცავი („თბილისის ზღვა“).

მდინარეზე აგებულია რამდენიმე სარწყავი სისტემა, რთაგან მთავარია სამგორის ზემო და ქვემო მაგისტრ. არხები.

**ი. აფხაზავა**

---